სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 ივნისი 2026

N 426/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ნემერა“ -ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 17 დეკემბრის N786/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2026 წლის 29 აპრილს და 11 მაისს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „ევერესტი“-მ და შპს „ნემერა“-მ, ითხოვეს შპს „ევერესტი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 3 270 კგ და R410A (HFC-32/HFC-125) – 2 203,5 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „ნემერა“-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „ევერესტი“-ის და შპს „ნემერა“-ის 2026 წლის 29 აპრილის N6234 და 11 მაისის N6937 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 17 დეკემბრის N786/ს ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „ნემერა“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 205206588) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობებით:

ა) R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 3 270 კგ;
ბ) R410A (HFC-32/HFC-125) – 2 203,5 კგ
გ) R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 10 კგ;
დ) R452A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF) – 11, 2 კგ.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნემერა“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნემერა“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/426-21-4-202606191751

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE